№ 130

ხუთშაბათი, 22 ივნისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 130

ხუთშაბათი, 22 ივნისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ამ ნომერში თორმეტი გვერდია.**

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის **კავკასიის** უსინათლოთათვის **მზრუნველ განყოფილების საბჭო** მოიწვევს იმათ, ვისაც ჰსურს გააქიროს სახლი ამა წლის 15 ივლისიდგან თვლით ავადმყოფთა სამკურნალოს განყოფილებისათვის; მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ სამკურნალოს დირექტორს დოქტორს **გ. ა. ტარსაიძეს** (ერმოლოვის აღმართი, კნ. აბამელიქოვის სახლი) და სამკურნალოს მზრუნველს **თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს** (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი).

(3—უ—1).

ნომრები **„ბაქო“**

ახლად გადაკეთებული, ოთახები მაღალი, სრული და ნათელია. მეტი ნაწილი ოთახებისა ორ-ორ ოთახად არის მოწყობილი. ფასები 50 კაპიკიდგან 5 მანეთამდის; თვიურად 12 მან. 60 მანეთამდის. ნომრები იმყოფება ელისაბედის ქუჩაზედ, № 25, ყორღანოვის ტრამვაის მახლობლად, ქ. ტფილისს.

პატრონი ნომრებისა ექვთიმე კვაჭაძე.

(3—1192—1)

საბჭოს ნებართვითა და საზოგადოების წესდების § 32 მუხლის ძალით, გამგეობა ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ბ. წევრთ ხსენებულის საზოგადოებისას და მოიწვევს საზოგადო საგანგებო კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც უნდა მოხდეს ამა წლის 16 ივლისს, დილის 10 საათზედ, გამგეობის შენობაში: კრება მოისმენს საბჭოსა და გამგეობის მოხსენებას ფოთში საჯარო ვაჭრობით შეძენილ სახაზინო შენობებისა და განსვენებულის დიმიტრი დანიელის ძის სმირნოვის დუქნების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ საზოგადოების გამგეობას ნება მიეცეს გადააგირაოს იგინი ერთ-ერთს ადგილობრივს საადგილ-მამულო ბანკში, და აგრეთვე იმაზედ, რომ გამგეობას უფლება მიეცეს ეს მამული გაჰყიდოს, თუ რომ ეს საზოგადოებისათვის სასარგებლო პირობებით მოხდება და ამ მამულის შეძენის მსურველი აღმოჩნდება ვინმე. იმ წევრთ, რომელთაც პირად თითონ არ შეეძლებათ კრებაზედ დასწრება, შეუძლიანთ რწმუნების ბარათები ერთ-ერთს რომელსამე საზოგადოების წევრს წარმოუგზავნონ, რომ განსახილველსა და გარდასაწყვეტს საგნებში მრწმუნებელის ხმა მას გადაეცეს, მაგრამ ეს რწმუნების ბარათები საზოგადო კრებამდის სამის დღით ადრე უნდა იქმნან წარმოდგენილნი გამგეობაში საზოგადოების წესდების § 36 სხოლიოს ძალით.

(3—6—1)

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ, მეექვსე პოლიციის განყოფილებაში დაინგრა ორ-სართულიანი თავადის სუმბათიშვილის. შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო ტყავის ქარხანა ამბობენ რამდენიმე მუშა ნოქრები შეეწირნენ ამ უბედურს შემთხვევას. რაოდენიმე უიმედოდ დასახიჩრებული ავადმყოფი უკვე მიიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში.

⁂ კვირას, 25 ივნისს, ბანკის თეატრში დაიწყება რუსული დასის წარმოდგენები. დასის მეთაურია რუსეთის იმპერატორის თეატრების არტისტი მ. მ. პეტიპა. სხვა პიესებთა შორის ითამაშებენ მოლიერის შესამჩნევს პიესებს „ტარტიუფ“-სა და „დონ-ჟუნს“.

⁂ ამ წარსულ ორშაბათს სხდომაზედ საბჭომ გადასდო-რა 21,000 მან. თუჯის მილების გასაყვანად ავჭალიდგან ქალაქამდე, ამასთან დაადგინა, რომ ხმოსნებმა უნდა გასინჯონ ავჭალის წყალის მილიო. ამის გამო ქალაქის გამგეობამ უკვე მოიწვია ბ-ნ-ნი ხმოსანნი, რომ კვირას, 25 ივნისს, მობრძანდით რკინის გზის სადგურზედ და გამგეობასთან ერთად გასინჯეთ ავჭალის მილის წყალი და ყოველივე მისი მოწყობილებაო. ქალაქის გამგეობა და ხმოსნები კვირას დილის მატარებლით გაემგზავრებიან ავჭალას.

⁂ გუშინ ერთმა ხარკოვიდგან ჩამოსულმა სტუდენტმა დაწვრილებით გვიამბო, თუ ამ ჟამად როგორს მდგომარეობაშია ჩვენი არტისტი ალექსი მესხიშვილი. ყელის ავადმყოფობას ფილტვების ავადმყოფობასთან ჰქონია კავშირი და ამიტომ არტისტს ორი ექიმი სწამლობს თურმე—შოპინი ყელის ავადმყოფობისა და ვიშინსკი შინაგან ავადმყოფებთა. დღეში მარტო ექიმობისათვის, სამის ვიზიტისა, სჭირდება თურმე ექვსი მანეთი. ამ ჟამად ხმა შედარებით უფრო მოჰმატებია და შოპინის რჩევით პატარ-პატარა მონოლოგებსაც კი კითხულობს თურმე, რომ ხმამ ივარჯიშოს. იმედი აქვთ ექიმებს, რომ სრულიად განკურნონ ამ სენისაგანაო, გადმოგვცა სტუდენტმა. მაგრამ, როგორც უკვე უწყის საზოგადოება, არტისტი ამ ბოლო დროს ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია თურმე ნივთიერად.

⁂ ელისაბეტალის კოლონიაში (ტფ. მაზრა) ყვავილი გაჩენილა წარსულის მაისის 25 რიცხვს. ამ რიცხვიდგან 15 ამ თვემდე სულ ოთხი გამხდარა ავად; ამათგან ერთი მომკვდარა, ორი მორჩენილა და ერთიც კიდევ ავად არის.

⁂ ამ თვის ცხრას ქალაქის მე-6 ნაწილში მტკვარში დაირჩო ქუთაისის მაზრის, სოფ. მეიღნის მცხოვრებელი ნესტორ მიქელაძე, რომელიც თურმე ცდილობდა დაეჭირა ბაღში წყალის ამოსაყვანი ხორბალი, მაგრამ გადიდებულ მდინარის ზვირთებმა ჩაითრია. გვამი ამ მიქელაძისა ამ დღეებში მოუნახავთ სოფ. ყარაჯალის ახლოს მტკვრის ნაპირად და ჩაუბარებიათ მიცვალებულის ნათესავებისათვის.

⁂ ქალების ინსტიტუტში მოსწავლე ქალები, რომელნიც საზაფხულოდ ამ სასწავლებლის პანსიონში დარჩნენ,—საზაფხულო სადგომში გადაიყვანეს კოჯორში ამ თვის 20-სა და 21-ს.

⁂ სახელწიფო საბჭომ დაამტკიცა ფინანსთა სამინისტროს წინადადება, რომელიც შეეხება კომერციის განკარგებას რუსის იმპერიაში; განუზრახავთ დაარსონ: 1) ერთ კლასიანი და სამ-კლასიანი სავაჭრო სასწავლებელი. 2) შვიდ კლასიანი საკომერციო სასწავლებელი. 4) კომერციული კურსები მამათა და დე-

## ფელეტონი

—

⁂

 აი კვლავ სევდა ეწვია გულსა,
კვლავ ამეშალა მწარე ნაღველი,
კვლავ დაეპკურა თვალთაგან მკერდსა
შეუკავებლად ცრემლი დამწველი...
მე არა ვსტირი ჩემს სიჭაბუკეს,
არც გულის სატრფოს, არცა მყოლია,
მარტოკა გდება, მწარე სიცოცხლე,
ვეპვოპ „ქუდ-ბედათ“ თან დამყოლია.
მე ჩემს გარემო მომესმის კვნესა,
მაშვრალი ხალხი ტვირთ ქვეშა გმინავს,
მათი ვაება... უსამართლობა,
ვითა ისარი, გულსა მიგმირავს.
თავისი ცრემლით ნაპანი მკერდი,
მითხარით ერთი, ვინ არ ივიწყოს,
თუ მის გარემო დაბა, სოფელი
კვნესით აღსავსე ცრემლით მოირწყოს.
და როს კვნესასთან ერთად მოგესმით
მჩაგვრელთ სიმღერა, სიცილ-ხარხარი,
ვფიცავ ზენასა, თვით პირუტყვთათვის
საშინელია და საზიზღარი!..

ი. ევდოშვილი.

„Madame Sans-Gêne“.

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ მოქმედებიანი კომედია

ვ. სარდუსი და მოროსი.

(შემდეგი *).

მეოთხე მოქმედება.

მესამე მოქმედების დეკორაცია. ღამეა.

გამოსვლა 1.

კატრინ, ლორისტან, კანონვილ, მორტიმერ და კონსტან.

(მორტიმერ და კანონვილ სიღრმეში დგანან და ლაპარაკობენ. ლამპაში პატარა სინათლეა. კატრინ ზის ბუხართან ახლო, სავარძელში, ძალიან დაღვრემილია. ქურქი დივანზედ გადაფენილია, ნეიპერის მოსახურავი პატარა მარმარილოს მაგიდაზედ, ხმალი-კი იმპერატორის საწერ მაგიდაზედ. ლორისტან ნაპოლეონის ოთახიდგან შემოდის და სხვებს უთითებს კატრინზედ. ცოტა ხნის შემდეგ კატრინთან მოდის კანონვილ).

კანონვილ. არ ინებებთ, თქვენო უგანათლებულესობავ, შინ გაგაცილოთ?

კატრინ. გმადლობ, ლეფევრს ვუცდი. ახლა უნდა მოვიდეს, იმპერატორმა დაიბარა.

კანონვილ. სიცივეა და იქნება მიბრძანოთ ქურქი მოგასხათ? (კატრინს მოახურავს ქურქს).

კატრინ. გმადლობთ... რომელი საათია? (კონსტან შემოდის სანთლით, დადგამს მაგიდაზედ. სცენა უფრო განათდება).

კანონვილ. ორია, თქვენო უგანათლებულესობავ!.. (კონსტანს) აქ დარჩით, იქნება რამ დასჭირდეს დუკის მეუღლეს!

კატრინ. (ჩუმად) კონსტან, გრაფი ნეიპერი კიდევ იქ არის? (უჩვენებს მარცხენა მხარეზედ).

კონსტან. დიაღ, თქვენო უგანათლებულესობავ! მკაცრი ბრძანება გვაქვს, არავინ მივაკაროთ...

კატრინ. ერთი დიდი სიკეთე მიყავით. მონახეთ ახლავე ფეშე და აქ მომგვარეთ. თუ სძინავს, გააღვიძეთ... უსათუოდ უნდა მოველაპარაკო, სანამ იმპერატორი საწოლ ოთახიდგან გამოვიდოდეს.

კონსტან. დიდის სიამოვნებით... მაგრამ იმპერატორმა რომ გამიგოს.

კატრინ. ნურაფრის გეშინიანთ—მე ვაგებ პასუხს!..

კონსტან. გიახლებით...

კატრინ. ღვთის გულისათვის, ჩქარა!.. (კონსტან გადის, ლეფევრი გამოჩნდება, ყველანი სამხედრო წესისამებრ თავს უკვრენ).

გამოსვლა 2.

იგინივე და ლეფევრი.

კატრინ. ლეფევრ! მადლობა ღმერთს!..

ლეფევრ. იმპერატორი სად ბრძანდება?

ლორისტან. თავისს ოთახშია, ბატონო მარშალო!..

ლეფევრ. მოახსენეთ, რომ ვიახელ! (მიდის, კატრინს ხელს მოჰკიდებს) რა რიგ შემაშინე, რომ აღარ მოხვედი! რა მოხდა? შეიტყო ყველაფერი იმპერატორმა?

კატრინ. განა ეს არის სამწუხარო?

ლეფევრ. მაშ რაღა ამბავია კიდევ?

კატრინ. (ჩუმად, წინ მოჰყავს) წარმოიდგინე, ნეიპერი დაბრუნდა....

ლეფევრ. რას ამბობ?!

კატრინ. ის იყო მივდიოდი აქედგან და იმპერატორმა ხკი მოასწრო აქ.

ლეფევრ: სად? სად?

კატრინ. აი, იქ, კარებთან...

ლეფევრ. როგორ? იმპერატრიცას ოთახთან?..

კატრინ. სსს!..

ლეფევრი. დალახვროს ღმერთმა! მერე?

კატრინ. ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა!.. იმპერატორი გაბრაზდა, მოგლიჯა ეპოლეტები. ნეიპერმა ხმალი იშიშვლა...

ლეფევრი. (შეშინებული) იმპერატორზედ?!.

კატრინ. აბა! (შიშისაგან წელში იხრება).

ლეფევრი. დაღუპულა! იმპერატორი უთუოდ მიბრძანებს დავახვრეტინო და მეც უნდა აღვასრულო ბრძანება! უბედურება არ არის?..

ლორისტან. (ნაპოლეონის ოთახიდგან შემოდის) მისი უდიდებულესობა გელით!

ლეფევრი. მოვდივარ!

კატრინ. (შეაჩერებს) უარი უთხარ!..

ლეფევრი. განა შემიძლია? (გადის, ლორისტან გაჰყვება).

გამოსვლა 3.

კატრინ, მორტიმერ და კანონვილ.

კატრინ. მართალია, როგორ გაბედავს უარის თქმას!.. აჰ! ნეიპერმა რომ იცოდეს ჩემი აქ ყოფნა! ცოტათი მაინც დამშვიდდებოდა, რადგან მიხვდება, რომ იმისათვის ვეცდები! (შეხედავს მოსახურავს) იმისი მოსასხამი!.. კაპიტანო, წეღან თქვენ გულ-კეთილობა გამოიჩინეთ და ქურქი მომაწოდეთ, არ შეიძლება ერთი სიკეთეც მიყოთ და ეს მოსასხამი ნეიპერს მიუტანოთ? იცით, ძალიან ცივა!..

კანონვილ. სიამოვნებით, თქვენო უგანათლებულესობავ, ბოდიშს ვიხდი, ადრე ვერ მოვიგონე... (გაქვს მარჯვნით. კატრინ იქითკენ იყურება).

კატრინ. აქეთ არ მოიხედა. სულ სხვაზედ ჰფიქრობს... აა... შემნიშნა მგონი! უბედური!..

კანონვილ. (გამოდის) თქვენო

*) იხ. „ივერია“ № 129.

დათა სქესისათვის და 5) აკადემია საკომერციო საგნებისა.

*** ს. ალში ოთხს ვენახში აღმოუჩენიათ ფილოქსერა. როგორც სჩანს ხუთი წელიწადია რაც ამ ვენახებს გასჩენიათ. და თუმცა წინადაც გაუსინჯავთ, მაგრამ იგი ვერ შეუმჩნევიათ. ამ დროს განმავლობაში ფილოქსერა ადვილად გავრცელდებოდა აქედამ არამც თუ გორის მაზრაში არამედ მის სამზღვარსაც გადასცილდებოდა.

საფილოქსერო კომიტეტმა გაგზავნა ზემოხსენებულს სოფელში ერთი თვისი წევრთაგანი—ალიბეგოვი.

*** ვეტერინალურ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში 1894 წელს მცხოვრებლებთა სახმარად დაუკვლათ 279,894 წვრილი და მსხვილი საქონელი. აქედგან: ახალციხის მაზრაში—18,839, ახალქალაქის მაზრაში—6,360, ბორჩალოს მაზრაში - 8,228, გორის მაზრაში—22,355, დუშეთის მაზრაში—1,930, ტფილისში—175,452, ტფილისის მაზრაში—12,940, თელავის მაზრაში—12,270, თიანეთის მაზრაში—920, და სიღნაღის მაზრაში—19,170.

*** ტფილისის საბრეშუმო სადგურში 29 მაისიდგან დაიწყეს ლექციების კითხვა სხვა-და-სხვა სამეურნეო სწავლის შესახებ. ამის გამო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ უმაღლესის ბრძანების ძალით აუწყა კავკასიის ოლქის ყველა დირექციებს, რათა ყოველ სკოლიდგან თითო ან ორი მასწავლებელი გამოეგზავნათ ამ ლექციებზედ დასასწრებლად. მართლაც ყოველ დირექციებიდგან მოგროვდნენ მასწავლებელნი სამოცამდე როგორც კაცნი, ისე ქალნი, რომელთათვისაც განსაკუთრებით დაიწყეს ლექციების კითხვა ამ თვის 15 რიცხვს.

29 მაისის დაწყებული ლექციების კითხვა-კი სამხრეთ-რუსეთის მხრის იმ მასწავლებელ რუსთათვის იყო, რომელნიც საგანგებოდ იმისათვის იყვნენ გამოგზავნილნი, რომ თეორიულად და პრაქტიკულად მოესმინათ ლექციები აბრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ და, როგორც გავიგეთ, დიდად კმაყოფილნიც დარჩნენ თურმე.

აბრეშუმის მოვლა-მოყვანის შესახებ ლექციები კიდეც გაუთავებიათ 19 ამ თვეს და ამ ხანად ფუტკრის მოვლა-მოშენების შესახებ თხულობენ თურმე. გუშინ-წინ, 19 ამ თვეს, ოლქის მზრუნველი იანოვსკი დაესწრო ამ ლექციას. სასურველია, რომ მასწავლებელთა გარდა, კერძო მეურნენიც დაესწრნენ ამ ლექციებს, რადგან ბევრს რასმეს შეისწავლის კაცი.

*** „ნოვ. ვრემ.“-ს ატყობინებენ, რომ კრასნოვის ექსპედიციას უკვე დაუსრულებია მუშაობა ინდოეთში. ჩრდილოეთ ინდოეთში ექსპედიციას აღმოუჩენია მხოლოდ ერთი ადგილი დასავლეთ გიმალაის მთებში კონგრის პლანტაციაო, რომლის ბუნება და ჰავა ძალიან წააგავს ბათუმის ოლქის ჰავას და ამიტომ ამ პლანტაციის ჩაის თესლი ექსპედიციამ შეიძინა ჩაქვისათვის. ექსპედიცია ახლა ცეილონში მუშაობს და მალე იაპონიას გაემგზავრება.

*** დ. ლანჩხუთი: აქაური მცხოვრებნი და მეტადრე მუშა ხალხი ძლიერ შეაწუხა მუდმივმა წვიმამ. აგერ თითქმის ზაფხული გავიდა და ზაფხულის თბილი დღეები სანახავად გვენატრება. მუდმივის წვიმის გამო მახლობლად მდინარე „რიონმა“ ძლიერ იმატა, გადმოვიდა კალაპოტიდგან და შვიდ ვერსზედ ნახნავ-ნათესი მინდვრები სულ წალეკა! ნაზარალევ და სამარგლელი სიმინდები ერთობ გააფუჭა. საწყალი, გულ-დაწყვეტილი და იმედ-დაკარგული მუშა ხალხი, ივნისის ნახევრიდგან გავიდნენ ხელ-მეორედ, რიონიდგან წალეკილ მინდვრის სათესადაო.

*** იქიდგანვე. ჩვენს დაბა ლანჩხუთში მცხოვრებთ აბრეშუმის კარგმა მოსავალმა წელს დიდ-ძალი ფული შესძინა. ნაკლებად იპოვით ისეთს ოჯახს, ვინც-კი მოისურვა აბრეშუმის კეთება, რომ ორ-სამ ფუთამდე პარკი არ გაეკეთებინოს.

*** მანგლისი: დიდს საჭიროებას შეადგენს, რომ ამ მხარეს ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაპყროს და ამ მხრის სოფლებში ქართული წიგნები გაავრცელოს. ასეთსავე სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი სოფ. წერაქვი, რომელიც ბორჩალოს მაზრაში სძევს. ამ სოფლის გარშემო მთლად თათრები და სომხები დგანან. აქეთ ქართველთა კვალი ადრევე შემცირდა. ქართული ენა აქა-იქ მოისმო. წერაქვის მცხოვრებნიც დარჩნენ ობლად, მაჰმადიანთა შორის მომწყვდეულნი. ამ სოფლის საქმეც ერთობ ცუდი იქნება, თუ ქართველმა საზოგადოებამ ზრუნვა არ აღმოუჩინა და წიგნების გავრცელებით პატრონობა არ დაუწყო.

## კორესპონდენცია.

—

**სახერე**, 2 ივნისი. რამდენიმე წელიწადია, ჩვენში დათარეშობდა ერთი თავ-აღებული ავაზაკი ჩაბრაძე. ჩაბრაძე არის 26 ანუ 27 წლის ყმაწვილი ბიჭი, კარგი მოხდენილის ტანისა, ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი, მკლავღონიერი, მარდი. ამ ოთხის წლის წინად ერთის ებრაელის დუქნიდგან გატანილი ნაძარცვი, ყოველივე იმას აღმოაჩნდა ოჯახში, რისთვისაც დააპატიმრეს. მაგრამ ერთს დღეს შეუპოვრად გამოვარდა საპყრობილედგან, თითქოს ბუზები სდგომოდა დარაჯებად. პოლიციელებს და დარაჯებს გარდა სხვებიც მრავალნი დაედევნენ ჰაი-ჰუით, ვერ წახვალ, დაგვრჩი, არ გაუშვათო! ბევრი დაიხარჯა, მაგრამ ჩაბრაძე წავიდა და წავიდა ისე, როგორც შარშანდელი თოვლი. იმისი შეპყრობა ძალიან გაჭირდებოდა, თუ, როგორც მოგეხსენებათ, გავლენიან პირებს არ მიეღოთ მონაწილეობა, რომლებმაც აღუთქვეს მას თავდებობით გამოყვანა და საქმეშიაც შემწეობა. თავდებობით თუმცა გამოიყვანეს, მაგრამ საქმიდგან-კი ვერ დაიხსნეს. ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა მას ღირსების ახდა და საუკუნოდ გადასახლება. ჩაბრაძემ სასამართლოს განაჩენი მოისმინა თუ არა, ის მაშინვე გაძვრა თავისებურად ხერხიანად და გაუდგა გზას შინისაკენ. მას დღეს აქეთ იმან ბევრის ზომით გააუმჯობესა თავისი ხელობა, სხვას გარდა წასულ წელში ის დახვდა შუადღისას შუაგულს სოფელში ერთს შეძლებულს ვაჭარს ს. გაჩეჩილაძეს, რომელიც რემდენსამე ალაგას მძიმედ დასჭრა რევოლვერით, გაძარცვით ვეღარ გაძარცვა, რადგანაც დამფრთხალმა ცხენმა გაჩეჩილაძე გაიტაცა და ამასობაში ხალხიც მიეშველა. პოლიციის ბოქაული მოუსვენრად სდევნიდა ჩაბრაძეს, ხან თავისს სახლში დაესხმოდა აუარებელის ხალხით თავზედ, მაგრამ სულ ამაოდ. ავაზაკი ისე გათამამდა, რომ არ აკლდებოდა არც ერთს დღეობას და ისე დადიოდა ყოველს სოფელში დღე და ღამე, როგორც თავისუფალი კაცი. ამ უკანასკნელად ბ. შორაპნის მაზრის უფროსმა ჩაბრაძის დევნა დაავალა სახერის პოლიციის ბოქაულს პლატონ მაჭავარიანს. 22 მაისს ბოქაულმა შეიტყო, რომ ჩაბრაძე შინ მისულიყო; განთიადისას მაჭავარიანი დაესხა თავს და შეიპყრო ავაზაკი.

იქაური.

—

**დ. სუჯუნა**, (სენაკის მაზრა). ამ წლის 28 მაისიდგან 3 ივნისამდის ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორმა ბ. დიმიტრიევმა ექვსი საერო სასოფლო სკოლა დაათვალიერა: სახელდობრ: კვათანის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, სუჯუნის, ნაესაკოვისა და მარანის ორ-კლასიანი სკოლები, ორიც გულეიკარისა და ილორის ერთ-კლასიანი სკოლები. ბ. დიმიტრიევმა ყველაზედ უკეთ მომზადებულად სცნო სუჯუნის სკოლის მოწაფეები. შემდეგ ცალკე დათვალიერებისა ინსპექტორმა დაუბარა მასწავლებლებს, რომ 3 ივნისს კვათანის ნორმალურს სასწავლებელში ყველამ მოიყვანეთ თითო განყოფილებიდგან ორ-ორი საუკეთესო მოწაფეო. მართლაც დანიშნულს დღეს მოგროვდნენ ზემოხსენებულ სკოლებიდგან სამოცამდე მოწაფე თავისს მასწავლებლებით. ბ. ინსპექტორმა მოწაფეები, თუ რომელს სკოლის მასწავლებელს მიუღია მეტი შრომა და სად უფრო მომზადებულნი არიან ხოლმე მოწაფეებიო. ამ გამოცდაში ბურთი და მოედანი დარჩათ ისევ სუჯუნის მოწაფეებს. იქამდის სამაგალითო ცოდნა გამოიჩინეს, რომ შედარებით სხვა სკოლის მოწაფეებთან სუჯუნის მეოთხე განყოფილებამ აჯობა სხვა სკოლების მეხუთე განყოფილებას, რისთვისაც დიდი მადლობელი დარჩა სუჯუნის მოწაფეებისა დიმიტრიევი.

მართლაც ამ გარემოებამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მოწაფეებში, ისე დამსწრეთა შორის. ეს

---

უგანათლებულესობავ, გრაფი ნეირი მადლობას გიძღვნით... ხედავთ!

კატრინ. ვხედავ, ვხედავ.. (თავს უკრავს მეორე ოთახისაკენ და ცდილობს გაღიმებას. კანონვილ კარებს მოჭკეცს).

გამოსვლა 4.

იგინივე, ფუშე, კონსტან და შემდეგ ლორისტან.

(კატრინ სიჩქარით მიეგებება ფუშეს).

კატრინ. მომიტევეთ რომ გაგაღვიძეთ...

ფუშე. მე სულაც არ მძინებია...

ლორისტან. ყმაწვილებო, იმპერატორი გიბრძანებთ.

ფუშე. (კატრინს) უკაცრავად! კაპიტანო, გთხოვთ იმპერატორს მოახსენოთ, რომ ვიახელ...

კანონვილი. სიამოვნებით. (ფუშე და კატრინს გარდა ყველანი გავლენ).

გამოსვლა 5.

კატრინ და ფუშე.

ფუშე. დიაღ, არა მძინებია და სულ თქვენზედ ვფიქრობდი!

კატრინ. ჩემზედა? მე რა მიშავს... თქვენ იმის შესახებ სთქვით!..

ფუშე. ნეიპერის?..

კატრინ. როგორ? თქვენ კიდეც გაიგეთ?

ფუშე. (ცივად) იმის ბედი გადაწყვეტილია. ლეჟევრი და სავარი დაიბარა იმპერატორმა და უნდა დაახვრეტინოს!

კატრინ. (ხელს მოჭკიდებს) და მე-კი თქვენ იმისათვის დაგიბარეთ, რომ ეს სასჯელი ააცილოთ...

ფუშე. მე?..

კატრინ. (ცბიერად) დიაღ, თქვენ!

ფუშე. (ცივად) მაგრამ, მე აქ რა შუაში ვარ.,. ან რა საქმე მაქვს... ჰო! მესმის... თქვენ გნებავთ მეგობარი იხსნათ... მაგრამ მე...

კატრინ. ყველაზედ უწინარეს მე მსურს იმპერატორს ავაცილო დანაშაულობის ჩადენა და იმპერატრიცას ქორები... მიყვარს დედოფალი და იმისი შეურაცხყოფა ჩვენი შეურაცხყოფაა...

ფუშე. ეგ ყველაფერი კარგი.. ეს სულ გულ-ჩვილობა და ლმობიერებაა. მე-კი პრაქტიკის კაცი ვარ და ჩემი სარგებლობა სრულიად არ ეთანხმება თქვენს გრძნობას.

კატრინ. მოითმინეთ...

ფუშე. (განაგრძობს) როგორც მოგეხსენებათ, ნეიპერ ჩემი მეგობარი არ არის! და ჩემთვის სულ ერთია, კარგად წავა თუ ავად იმისი საქმე!! იმპერატრიცას ვძულვარ, თქვენ გულგრილად მეპყრობით, როგიგო ხომ აგერ-აგერ გადამყლაპავს... ასე რომ თუ სამსახურიდგან დაითხოვეს, კიდეც გამიხარდება. იმპერატორმა დამსაჯა იმისათვის, რომ მართალი ვუწინასწარმეტყველე. ეს მეორე ცოლის შერთვა ხეირს არ დაგაყრისმეთქი, და ხომ ხედავთ მართალი ვყოფილვარ... სულ ტყუილ-უბრალოდ დავისაჯე. ახლა-კი მეც გამიღიმა ბედმა და ჯავრსაც ამოვიყრი!!

კატრინ. (მხრებს აწევით დაჯდება დივანზედ—ქურქი მოეხსნება). ასეთი ჭკვიანი ხართ და შურის ძიებაზედ ლაპარაკობთ!!

ფუშე. (ბურნუთს ეწევა) რატომ არა?

კატრინ. ერთი თქვენც! შურისძიება სულელი კაცის მოგონილია. ჭკუიანი კაცი მაშინ უძიებს შურს, როდესაც რაიმე სარგებლობას ხედავს!

ფუშე. ვსთქვათ ეგ ეგრეა, მაგრამ...

კატრინ. იქნება რაიმე სიამოვნებას იგრძნობთ, რაკი ეგრე მოიქცევით?

ფუშე. რასაკვირველია!

კატრინ. თქვენ რა მერე—სავარის რომ წაართვან მინისტრობა, თუ-კი თქვენ არ მოგცემენ?

ფუშე. მაშ კარგი... მე ჯიუტი არ ვარ... ოღონდ დამიმტკიცეთ, რომ მეც სარგებლობა მექმნება და მაშინ თქვენი მონა—მორჩილი გავხდები.

კატრინ. თქვენი სარგებლობა ნათლადა სჩანს!

ფუშე. მაჩვენეთ... მაჩვენეთ!

კატრინ. ინებეთ: იმპერატრიცა ყოველს ღონისძიებას მოიხმარს თავი გაიმართლოს, იმპერატორიც დაიჯერებს მისს უმანკოებას და ბოდიშსაც მოსთხოვს. ნუ თუ უნდა აგიხსნათ, ვისაც ვინ უყვარს მალე დააჯერებს და თავსაც გაიმართლებს! მაშასადამე ჩვენთვის საჭიროა დრო მოვიგოთ!.

ფუშე. რომ სთქვას კაცმა, მართალი ხართ!..

კატრინ. მაშ! დაიხსენით, უშველეთ ნეიპერს, დააჯერეთ იმპერატორი, რომ ცოლი არ ჰღალატობს, შეჰფიცეთ ყველა წმიდანები, ეგ ხომ თქვენთვის ძნელი არ იქნება და როდესაც იმპერატრიცა, გაიგებს ამას, მადლიერი, მწყალობელი გაგიხდებათ სამუდამოდ! იმპერატორიც, რა-კი დარწმუნდება, დაგენდობათ და სახეში ეყოლებით. კარგათ მოიფიქრეთ... მარტო ამ ერთის ხერხით თქვენ მოიპოვებთ იმპერატრიცას მადლობას, იმპერატორის ნდობას და ისევ პოლიციის მინისტრობას... რას იტყვით აბა ამაზედ?..

ფუშე. რას ვიტყვი და იმას, რომ უცნაურად გამოკვანძეთ საქმე!..

კატრინ. (ხელს მოჭკიდებს) მაშ ჩვენ ვიხსნით ნეიპერს?.. არა? დაჰკა ხელი!..

ფუშე. (მაგრად ხელს მოუჭერს) კარგი, თანახმა ვარ და დავიწყოთ! (მიუჯდება ახლოს).

კატრინ. უპირველესად საჭიროა რაც შეიძლება...

ფუშე. დრო მოვიგოთ და სიკვდილით დასჯა გადავადებინოთ.

კატრინ. მაგრამ როგორ?

ფუშე. იმპერატორის ნება-დაურთველად, რაღა ლაპარაკი უნდა, ეგ შეუძლებელია... მაგრამ აქ არა ვარ? მე ნათლად დავუმტკიცებ: ამ აჩქარებით გამოამჟღავნებს ყველაფერს ხვალვე მთელს პარისში დაიწყებენ ლაპარაკს, იმპერატორმა საყვარელთან მოასწრო იმპერატრიცასაო!..

კატრინ. რასაკვირველია!

ფუშე... დაითხოვოს სავარი და მაშინ გამოვიხსნი იმპერატრიცას ამ საძაგელ მდგომარეობიდგან.

კატრინ. რა რიგად?

ფუშე. (დაბლა) ღამე კი არ უნდა მოაკვლევინოს ნეიპერი, როგორც საყვარელი, არამედ უნდა დახვრიტონ ის დღისით, მოედანზედ, საჯაროდ როგორც მოღალატე!!..

კატრინ. (შეშინებული) დახვრიტონ?!.

ფუშე. (დამშვიდებით) მოითმინეთ! თუ ნეიპერი მოღალატეა, შეთქმული—მაშასადამე უნდა ჰყავდეს თანა მოაზრენიც და იმათ დაჭერას დრო უნდა. გამოძიება უნდა დაინიშნოს, ამასობაში გრაფის დასჯას აღარ დაუჩქარებენ—ჩასმენ ციხეში; იმპერატრიცაც მოასწრებს თავის გამართლებას, იქ მეტერნიხი ჩაერევა და საქმეც ჩინებულად დაბოლოვდება...

კატრინ. მაგრამ შეთქმულობა რომ არსად არის?!.

ფუშე. გონიერს პოლიციას ყოველთვის აქვს შენახული თითო ორორი შეთქმულობა და საჭიროების დროს გამოაჩენს! (მოიგონებს) მე მომზადებული მაქვს, ყოველ შემთხვევისათვის ამისთანა შეთქმულობა... ერთი იაკობინელთა... მაგრამ ეს არ გამოდგება.. ნეიპერს იმათთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს... მეორეც როიალისტების, აი ეს-კი ივარგებს... იქ სხვებიც ურევია...

კატრინ. მაგრამ იმათ ხომ ყველას დაიჭერენ?..

ფუშე. მაშ!.. მაგრამ, რადგან

ახალი საშუალება მოწაფეების გამოცდისა, პედაგოგიურის თვალით რომ შევხედოთ სასარგებლოა, რადგანაც ასეთის გარემოებით დიდად ფხიზლდებიან როგორც მასწავლებლები, ისე მათი მოწაფეები და საზოგადოებაშიაც უფრო მეტს ინტერესს იწვევს სწავლისადმი.

ახალ-გაზდა სუჯუნის მასწავლებელი ორი წელიწადია, რაც დაინიშნა მასწავლებლად სუჯუნის სკოლაში. ამ დროს ხსენებულს სკოლაში 63 მოწაფე იყო, სამ დასად გაყოფილი, ხოლო არ გასულა ორი თვე და მოწაფეების რიცხვი 110 ავიდა. მეორე წელს გაიხსნა მეოთხე განყოფილება და მოწაფეების რიცხვი გაიზარდა 130. ამ მომავალ სექტემბრიდგან-კი ნამდვილი ორ-კლასიანი სკოლა გვექნება, რადგანაც კიდევ მოემატება მეხუთე განყოფილება.

ძაკუ.

1895 წ., 17 ივნისს.

---

## ბათუმის სკოლა.

—

ამ დღეებში ბათუმიდგან დაბრუნდა ტფილისში პატივცემული ნ. ზ. ცხვედაძე, რომელმაც წერა-კითხვის საზოგადოების მონდობილობით დაათვალიერა ბათუმის ქართული სკოლა. თავისს, წერა-კითხვის საზოგადოებასთან მოხსენებაში ნ. ზ. ცხვედაძე, სხვათა შორის, სწერს: „ბათუმის სკოლაში ამ უკანასკნელ წელს 51 მოწაფე სწავლობდა, იმათ შორის რამდენიმე მაჰმადის სარწმუნოების ქართველნი.

სწავლის საქმე მიმდინარეობს კარგად. ყველასათვის ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის სკოლას და ამის გამო წერა-კითხვის საზოგადოებას დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი. ამ ორის წლის წინად საზოგადოებას მიუნდვია ბათუმის სკოლის სამზრუნველოსთვის გამოეძებნა საშუალება სკოლის სახლის ასაშენებლად.

სამზრუნველოს დიდი შრომა და მხნეობა გამოუჩენია და თითქმის 10,000 მანეთამდე მოუგროვებია თვით ბათუმში და აუგიათ ყოველის მხრით მოწყობილი და შესაფერი სახლი სკოლისათვის. სკოლას აქვს ორი დიდი ნათელი ოთახი კლასებად, ერთიც დიდი დარბაზი ყმაწვილთათვის, ერთი ოთახი ბიბლიოთეკისათვის და ორი დიდი დერეფანი, სადაც ინახება ყმაწვილების, მშობლების და სტუმართა პალტოები და კალოშები.

ამას გარდა ეზოში, რამდენიმე საჟენით სკოლაზე მოშორებით, აგებულია ცალკე სახლი მასწავლებელთათვის. ეზოშივე ფართო დახურული სეფა არის გაკეთებული, სადაც ცუდ-ამინდებში ყმაწვილებს შეეძლებათ გიმნასტურ და სხვა თამაშობის გამართვა. თითონ სკოლის იატაკი ასფალტისაგან არის. სახლი სრულიად დასრულებულია შიგნით. გარედგან აკლია სულ ცოტა რამ და მალე სულ დამთავრდება.

ერთი სიტყვით ყოველივე მხრით ჩინებული, ჰიგიენურად მოწყობილი სახლი გვაქვს ბათუმის სკოლისათვის.

საკლასო ავეჯეულისათვის და სხვა წვრილმან მოსაწყობლად საზოგადოებას იქაურ სამზრუნველოსათვის 1200 მანეთი კრედიტი გაუხსნია.

აგვისტოს ბოლოს ან და სექტემბრის პირველ რიცხვებში აკურთხებენ სახლს, და ჩვენი ერთად-ერთი სკოლა შავის ზღვის ნაპირებზედ, გადავა ამ ხალხში. სექტემბრიდგანვე სკოლას ეყოლება ორი მასწავლებელი და სასწავლო პროგრამებში მოხდება ყოველგვარი ცვლილებანი, რომლითაც ბათუმის ქართველების ყოველი მოთხოვნილებანი დაცულნი იქნებიან“.

ჩვენი გაზეთი სიხარულით ეგებება ამ ამბავს და აღნიშნავს, რომ ბათუმის ქართველთა სკოლის სამზრუნველო დიდის მადლობის ღირსია თავის უანგარო შრომისათვის.

---

## ჭვანის ხეობის გათათრება.

(ჭვანელის გვათუასაგან ნაამბობი)

სამეგრელოში გვათუამ რაღაცა დააშავა, სამეგრელოს მთავარი ამას სასტიკად დაემუქრა, გვათუა სამეგრელოდგან ზეგანში გამოიქცა, სოფელს ჭვანში მოვიდა, დასახლდა, მალე თათრობა მიიღო. შემდეგ წავიდა სამეგრელოში, მოტყუებით წამოიყვანა თავისი ცოლ-შვილი და მოყვანისათანავე ყველა ესენი ჭვანში გაათათრა. შემდეგ ამისა გვათუამ საქართველოს გოგო-ბიჭების ტაციობა გაიხადა საქმეთ და ამით ვაჭრობდა თითქმის. ეს დიდს დახმარებას აძლევდა ოსმალთ, რომ ამათ სამეგრელოში თათრის სჯული შეეტანათ და გაევრცელებინათ. უკანასკნელ გვათუები საშინლად წახდნენ და ომის შემდეგ ოსმალში გადასახლდნენ. დღეს მხოლოდ ერთი მოხუციღა სცხოვრებს ჭვანაში და ესეც ფანატიკი, მტერი ქართველთა და დიდათ მოწადინე ქაბაში წასვლისა. ამან მითხრა ასე:

— მე ძლიერ მებრალები, რომ შენ, მაგეთი წმიდა ოსტატი კაცი, სიკვდილის შემდეგ უნდა წაწყმდე, ცოდო არა ხარ შენა, რომ ჯოჯოხეთში წახვიდე. გათათრდი, რომ შენი სული სიკვდილის შემდეგ სამოთხეში წავიდეს; გთხოვ, რომ მექაში წამოხვიდე. გვათუების მეოხებით ბევრი მეგრელი გათათრებულა. ესენი თურმე მეამბოხე მეგრელებს სამეგრელოდგან თვისკენ იხმობდნენ, ზეგანში ასახლებდნენ და მერე ათათრებდნენ. 1790 წლებში ამათ მიუმხრიათ 30 მეგრელი და მალე ყველა ესენი გაუთათრებიათ; ამათ იქ ცოლები შეურთავთ და მერე სამეგრელოზედ გათარეშება უწყვიათ და ტყვეების ტაციობა და ოსმალში დაყიდვა.

(დევრიშზეგ ბჟღანიძის ნაამბობი).

სოფელს „ვაიოს“ ქართველების გათათრებამდის სხვა სახელი რქმევია. ეს სახელი ამ სოფელს შემდეგ დროებში დარქმევია. აი როგორ: „ვაიოს“ გაღმა მხრის ქართველნი გათათრდნენ. სოფელ „ვაიოს“ მხრის სოფლის ქართველნი ხალხნი-კი ქრისტიანად დაშთნენ. გათათრებულნი მიეცნენ თათრულს ცხოვრებასა, ზნესა და ჩვეულებას. ქალებმა პირზედ პირ-ბადე ჩამოიფარეს, ქრისტიან და გათათრებულ ქართველებთან მორიდება დაიწყეს, აღარავის ეჩვენებოდნენ. ქრისტიან ქართველი ქალები-კი ყოველთვის პირბადე ახდილნი იყვნენ და ყველას თავისუფლად ეჩვენებოდნენ. ახალ გათათრებულ ქართველებს თათრების ყველაფერი მოსწონდათ, გარდა ქართველებისაგან პირის დამალვისა. ამათ ძლიერ ენატრებოდათ ახალ გათათრებული ქალები, რომ ქრისტიან ქართველ ქალებივით პირ-ახდილნი ყოფილიყვნენ. მაგრამ რას იზამდნენ. ახალ გათათრებულნი ძლიერ ეტრფოდნენ ქრისტიან ქართველს ქალებს.

ერთი გათათრებული ქართველი გადაეკიდა ერთ ქრისტიან ქართველის გოგოს, მაგრამ გოგო არ მისდევდა ამას ცოლად, რადგანაც ეს ეუბნებოდა მას, რომ შენ თათარი ხარო. ისევ გაქრისტიანდი და მე მაშინ შეგირთავო. საქმე დიდხანს განეგრძო, ბიჭმა თვალ-თვალება დაუწყო გოგოს. ერთხელ გოგო თავის მშობლებმა წისქვილში გაგზავნეს და თან ხორბალი გაატანეს. გოგო წისქვილში მიმავალმა ბიჭმა დაინახა. გოგოს წისქვილში მისვლისას რამდენიმე კაცით თავზედ დაეცა და მოიტაცა; ამ მოტაცვის დროს გოგომ მორთო ყვირილი, რომ „ვაი, ვაიო“ მაგრამ მაშველელი არავინ გაჩნდა. გოგო გაიყვანეს გაღმა, ახალ გათათრებულ ქართველებში, ძალათ გაათათრეს და ბიჭზედ ახტი უქნეს (აჯორწილეს). ზემოხსენებულს სოფელს ამ შემთხვევის გამო დაერქვა სახელათ „ვაიოვო“.

II

სოფ. ვაიოზედ ბევრნი კიდევ სხვა ამბებს ლაპარაკობენ. ვაიოში ქრისტიანობის დროს ერთი დიდი მშვენიერი ეკკლესია ყოფილა,—ერთიც პატარა. დიდი ეკლესია დაუქცევიათ ახმედ ფაშის დროს და პატარა-კი დაუტოვებიათ. პატარა ეკკლესიის კედლები დღევანდლამდის სდგას. ზოგნი ამბობენ, რომ „ვაიო“ მიტომ დაერქო იმასა, რადგანაც გათათრების დროს ხალხი სულ „ვაის“ ყვიროდა და მისაგან დაერქო „ვაიო“. ზოგნი ამბობენ ამ სოფელს ყიზილბაშები დაეცნენ და როცა აოხრებდნენ, მაშინ ხალხი „ვაის“ ყვიროდაო და ამიტომ დაერქვაო.

ზოგნი ამბობენ, რომ როცა ქართველებს ათათრებდნენ, მაშინ ბევრნი არ გათათრდნენ და ამათ სიკვდილით სჯიდნენო და ამათი ნათესავები-კი, რომლებიც გათათრდნენ და ცოცხალნი დარჩნენ, თავიანთს ნათესავებს გლოვობდნენ და ტიროდნენ და ყვიროდნენ, რომ „ვაიო, ვაიო“ და ამიტომ დაერქვაო. ზოგნი კიდევ სხვა ამბებს ამბობენ.

და ამის შემდეგ ქრისტიანობისთვის დიდი ტანჯვა და ვაება სოფ. ვაიოს ხალხს გამოუცდიაო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

---

ნამდვილი გამამტყუვნებელი საბუთები არ გვექნება.. მალე განვათავისუფლებთ! ერთის სიტყვით რაც უნდა იქნეს ნეიპერს გადავარჩენთ.

**კატრინ.** მხოლოდ რაც შეიძლება მალე! (ორივე წამოდგებიან. ფუშე პატარა წაგნაკს ამოიღებს ჯიბიდგან).

**ფუშე.** ეხლავ დავსწერ მოკლე მოხსენებას იმპერატორთან! (მიდის მაგიდასთან—სწერს. ლორისტან და კანონვილ გამოდიან მარცხნივ).

გამოსვალა 6

იგინივე, კანონვილ და ლორისტან.

**კანონვილ.** (ლორისტანს) შეატყობინეთ, რომ ნადირობა აღარ იქნება! (ლორისტან გადის) სავარი კიდევ არ მოსულა?

**ფუშე.** როგორც ხედავთ'.

**კანონვილ.** იმპერატორი მოთმინებიდგან გამოდის!

**ფუშე.** რაღა ლაპარაკი უნდა! თქვენ ხომ მოახსენეთ, კაპიტანო, იმპერატორს, რომ ვიახელ!

**კანონვილ.** როგორ არა, ბატონო დუკო, მაგრამ იმპერატორს არა უბრძანებია-რა!

**ფუშე.** მაშ გაისარჯეთ და კიდევ მოახსენეთ, უსათუოდ მინახულოს, ერთ დიდის შეთქმულობის შესახებ უნდა მოველაპარაკო...

**კანონვილ.** ეხლავ მოვახსენებ. (გადის მარცხნივ)

**ფუშე.** თუ იმპერატორმა მინახულა და იმ ვირმაც, სავარიმ, დაიგვიანა ათის წამით მაინც... (სავარი გამოჩნდება მარჯვენა კარებში) მე იმას კისერს მოვუგრეხ!..

**კატრინ.** სსსუ.. მოვიდა კიდეც!

**ფუშე.** დასწყევლოს ღმერთმა (სავარი მიაშურებს იმპერატორის ოთახს. დაინახავს კატრინს)

გამოსვლა 7.

ფუშე, კატრინ, სავარ და შემდეგ ლეფევრ.

**სავარი.** (დაღალული) იმპერატორი აქ ბრძანდება?

**კატრინ.** არა, ბატონო დუკო!!

**ფუშე.** (კალმით უჩვენებს) იმპერატორი თავის საწოლ ოთახშია!..

**სავარი.** (შეჩერდება. მიდის ფუშესთან და ხმის კანკალით) რა მოხდა? არ იცით, რისთვის მიბარებს?

**ფუშე.** აბა მე საიდგან უნდა ვიცოდე, თუ-კი თქვენ პოლიციის მინისტრს, არაფერი გაგიგიათ?.. თუმცა ყური მოვკარ, ნეიპერზედ ლაპარაკობდნენ!!

**სავარი.** ნეიპერზედ?.. მაშ ეს ძველი ამბავია... ის რამდენი ხანია წავიდა...

**ფუშე.** აი სწორედ ეგრე მოახსენეთ იმპერატორს... წავიდა-თქო და, მგონი, ძალიან ასიამოვნებთ!! (სწერს)

**სავარი.** ნუ-თუ არა სჯერა?

**ფუშე.** ასე ვფიქრობ!

**სავარი.** ძალიან კარგი... რადგან ეგრეა, მე ამ წამში დავამშვიდებ!.. (მიდის და ლეფევრს შეხვდება).

**ლეფევრ.** სავარი! მადლობა ღმერთს!. იმპერატორი ჯავრობს, სადახართ აქამდის?

**სავარი.** კმარა მხოლოდ ერთი სიტყვა ვუთხრა და დამშვიდდება! (გადის.)

**ფუშე.** ნუ იტყვით!!. ვსწუხვარ, იქ ვერ დავესწრები!...

გამოსვლა 8.

კატრინ, ფუშე და ლეფევრ.

**კატრინ.** რა ამბავია?

**ლეფევრ.** რაღა რა ამბავია? არც გასამართლება, არც გამოძიება! ოთხი პოლიციელი წაიყვანს მოედანზედ და დახვრეტენ. დახვრეტენ ჩირაღდნების სინათლეზედ და იქვე დაასაფლავებენ. ერთის საათის შემდეგ ყველაფერი გათავებული უნდა იყოს!.. და, დალახვროს ღმერთმა, ყოველივე ეს მე მაქვს მონდობილი. (დააგდებს დივანზედ ქუდს).

**კატრინ.** შენ-კი დაჩუმდი? ა?

**ლეფევრ.** წადი და ელაპარაკე! მიბრძანა დაჩუმება და თითონ-კი ლაპარაკობს—თან თითქოს იჩხობაო... მოდი და ნუ გაჩუმდები...

**ფუშე.** კანონვილმა მოახსენა, რომ მე უნდა ვინახულო?

**ლეფევრ.** როგორ არა, რაღაც შეთქმულობაზედაო, უთხრა...

**ფუშე.** მერე?

**ლეფევრი.** მხრები აიწია და ბრძანა. „ფუშეს ყოველთვის შემონახული აქვს მაგისთანა ხერხებიო, უნდა დამიმტკიცოს, რომ მე უმისოდ ვერ გავძლებო... კარგად ვიცნობ, რა შვილიც ბრძანდებაო... უთხარი, არც იმასთან, არც იმის შეთქმულობასთან არავითარი საქმე არა მაქვსთქო!

**კატრინ.** (სასოწარკვეთილებით უცქერის ფუშეს) ღმერთო ჩემო, რაღა ვქნათ?

**ფუშე.** ჩაიფუშნენ ჩემი ხრიკებს! იმპერატრიცაზედ არა უთქვამს-რა?

**ლეფევრი.** ერთი სიტყვაც!

**კატრინ.** იმას-კი სძინავს და არა იცის რა... იმის გულისათვის კაცსა ჰკვლენ!..

**ფუშე.** ბარონესსა ბულოვ დატუსაღებულია?

**კატრინ.** ეგრე არ იყოს—როგორმე შევატყობინებდი... მაგრამ იმპერატრიცა? მხოლოდ იმას შეუძლიან საცოდავს უშველოს!..

**ლეფევრ.** ეგ როგორ?

**კატრინ.** თითონ გამოსძებნოს რამ საშვალება... მივდივარ!..

**ლეფევრ.** სად? (შეაჩერებს).

**კატრინ.** იმპერატრიცასთან!

**ლეფევრ.** ის თითქმის არ გიცნობს შენ!

**კატრინ.** ახლა გამიცნობს!

**ლეფევრ.** მერე რას ეტყვი?

**კატრინ.** მე... მე ვეტყვი: „თქვენ გეძინათ მაშინ, როდესაც ჩვენ ვცახცახებდით; გაიღვიძეთ და იხსენით თქვენი მეგობარი სიკვდილისაგან!“

**ლეფევრი.** ჰკუაზედ შემცდარხარ!

**ფუშე.** დამშვიდდი!..

**ლეფევრი.** როგორ გაუბედავ მაგის თქმას!

**კატრინ.** რატომ?

**ლეფევრი.** იმიტომ, რომ მეტისმეტი კადნიერებაა!.. გაბედულობაა!..

**კატრინ.** სხვა ღონისძიება რომ არ არის?..

**ლეფევრი.** იმპერატორმა რომ გაიგოს?

**კატრინ.** მერე რა?... მე ხომ ვერ დამხვრიტავს, თუნდაც ეგრე მოხდეს... მე მაინც წავალ.

**ლეფევრი.** (მკაცრად) კატრინ!..

**ფუშე.** დაანებეთ თავი.... წავიდეს!.. (კატრინ გააღებს შუა კარებს.. კარებს უკან დგას რუსტან დარაჯად).

**ლეფევრი.** (დაბლა) რუსტან! (კატრინ უკან წამოვა. კარები იკეტება).

**ფუშე.** იმპერატორს ყოველივე მოუაზრებია!

**კატრინ.** ახლა-კი.. ყველაფერი გათავდა! (ქვითინებს) არსაიდამ ხსნა..

**ფუშე.** (გადმოეყუდება მაგიდაზედ). რატომ არა.. ერთი საშუალება დაგვრჩა... გაქცევა და... მარშალი რომ მოინდომებდეს..

**ლეფევრ.** კმარა, დუკო, სასახლის უფროსს არა აქვს ნება მოგისმინოთ. (აიღებს ქუდს) მე მივდივარ იმპერატორის ბრძანების შეუსასრულებლად. (მივა კატრინთან). რომ გაიქცეოდეს, სანამ მე მივალ მასთან, მაშინ ეს თქვენი და სავარის სმქმე იქნებოდა, მაგრამ რაკი მივალ და ნეიპერს ჩამაბარებენ, უთუოდ ჩემს მოვალეობას მტკიცედ შევასრულებ.! იმისი შველა თქვენზედ ნაკლებ არ გამახარებს. მაგრამ ახლა მეტს არც გავიგონებ და არც მსურს რაიმე ვიცოდე (გადის).

კ. მესხი.

(შემდეგი იქნება).

## რუსეთის ცხოვრება.

—

ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს კიდევ დასწიოს რკინის გზებით მოსიარულეთათვის შემოღებული ტარიფი და გაუგზავნია რამდენიმე მოხელე ბელგიაში ამ საგნის შესასწავლად. როგორც ცნობილია ბელგიის ტარიფი საუკეთესოდ ითვლება ევროპა'ში და იქ ძალიან იაფია რკინის გზით მოგზაურობა.

—

საერო განათლების მინისტრის ბრძანებით მოსკოვის უნივერსიტეტში მისაღებ ებრაელთ რიცხვი კიდევ უნდა შემცირდეს: 10% მაგიერ ამიერიდგან ებრაელთ რიცხვი არ უნდა აღემატოს სამს პროცენტს.

—

გაზეთები იუწყებიან, რომ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ სოლსკის გარდა საერო განათლების მინისტრს ი. დ. დელიანოვსა და ადმირალს ჩიხაჩევს ასახლებენო.

—

როგორც სმოლენკის „ვესტნიკი“ იუწყება, მ. ტ-ს გამოუგონია ახალი ასოთ ამწყობი მანქანა. მანქანა 108 მილისაგან შესდგება. მილების სიდიდ-სიპატარავე ირგვლივ დამოკიდებულია შრიფტზედ; მილები ისეა მოწყობილი, რომ ასოები თავისით ეწყობა თავისს ადგილას, როგორც-კი ჩასახტუნებელს ჩხირს დააჭერს თითს. როდესაც რომელსამე მილში ასოება გამოილევა, მილი ნიშანს აძლევს ზედამხედველს და იგი ხელ-ახლად ავსებს ასოებით მილს. ამ ჟამად ამ მანქანის საშუალებით საათში 3,000 ასოს სისწრაფით შეიძლება მუშაობა, მაგრამ დახელოვნებულ ზედამხედვლის ხელში იგი შეიძლებს საათში 72,000 ასოს სისწრაფით იმუშაოს; ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ადვილად შეიძლება მანქანის გაწყობა წახდენის დროს, სულ მთლად უბრალოა თურმე: ყველაზედ რთულის მანქანის მოწყობა, როდესაც საჭირო მასალა მზად არის, ხუთს წამში შეიძლება და არც თუ სპეციალური ცოდნა სჭირდება ამას. ეს მანქანა ყოველგვარ არსებულ შრიფტისათვის არის გამოსადეგი. მანქანის გამომგონებელს განზრახვა აქვს მანქანა გამოფენაზედ გაჰგზავნოს. თუ რომ ამ მანქანის ხმარება შემოვა, უთუოდ ძირეულად შესცვლის სტამბის საქმეს და დიდს ნაბიჯს წასდგამს წინ ბეჭდვის საქმე.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზეთებში დაწვრილებით მოთხრობილია როზბერის სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომის ამბავი. ოფიციალურად სამინისტროს გადადგომა ზედა პარლამენტს აცნობა როზბერიმ, ქვედა პარლამენტს გარკურმა. უკანასკნელმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბ. სპიკერო, სანამ შევუდგებოდეთ მიმდინარე საგნების განხილვას, მე მოგახსენებთ ისეთს გარემოებას, რომელიც იძულებულად გყოფთ გარდასდვათ მიმდინარე საქმეების განხილვა. პარასკევს კენჭის ყრით თქვენი ნდობა წაერთვა სამხედრო მინისტრს, რომლის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ამისთანა ნიჭიერი, პატივცემული და სახელ-განთქმული სამხედრო მინისტრი ჩვენ არ გვყოლია (მთელი პარლამენტი ტაშსა სცემს). მგონი მეტი იქნება დავუმატო, რომ მთავრობა სრულიად თანაუგრძნობს სამხედრო სამინისტროს მოღვაწეობას და მასთან ერთად პასუხს აგებს ქვეყნის წინაშე (ტაშის ცემა). ოპპოზიციის წარმომადგენელთა მოქმედებამ შეუძლებლად ჰყო ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება და მთავრობას აღარ შეუძლია საზოგადო საქმეებს წაუძღვეს უწინდებურად. ამის გამო სამინისტრომ თვისის თავმჯდომარის პირით განუცხადა დედოფალს, რომ სამსახურს თავს ანებებს. ამის შემდეგ მინისტრები დარჩებიან თავთავიანთს ადგილებზედ მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ახალი სამინისტრო შესდგებოდეს და ჩაიბარებდეს საქმეებს... ნება მიბოძეთ კიდევ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. მე თავს ვანებებ ადგილს, რომელიც ყველა სხვა თანამდებობაზედ უფრო ძნელი და უფრო შესანიშნავია. თუმცა იმდენი ძალა არ მომეპოვება, რომ ღირსეულად აღმესრულებინა ჩემი მოვალეობა, მაგრამ ყოველთვის იმ განზრახვითა და სურვილით ვიყავ გამსჭვალული, რომ ამ დიდებულის პარლამენტის ღირსება არ შემებღალა. დიდს მადლობას ვუძღვნი ყველა მათ, ვინც ჩემთან მსახურებდა და ვინც დაუღალავად შემწეობასა და დახმარებას მიჩენდა მოღვაწეობის დროს. ჩემ მოვალეობათ ვრაცხ აგრეთვე განვაცხადო, რომ ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ყოველთვის პატივით მეპყრობოდნენ. (ოპპოზიციის სკამებზედ ტაშის ცემაა)“.

გარკურის პასუხად ბალფურმა განაცხადა, კონსერვატორთა პარტია, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგია კაბინეტის პოლიტიკისა, დიდად აფასებს გარკურსა და ინგლისის პარლამენტის მშვენებათ სთვლის მას. რაც შეეხება სამინისტროს სამსახურიდგან გამოსვლას, ბალფური მწუხარებას აცხადებს, რომ სამინისტრომ თავდაპირველად პარლამენტი არ დაითხოვა.

გაზეთები ამბობენ, რომ კონსერვატორთა პარტიას განუზრახავს, რომ საზოგადო არჩევნები რაც შეიძლება მალე მოხდეს. ამბობენ, პარლამენტი 28 ივნისს იქნება დათხოვნილი. თუ ასე მოხდა, ამ პარლამენტის მოღვაწეობა სწორედ სამს წელიწადს გაგრძელდება, როზბერის სამინისტრო წელიწადსა და ოთხს თვეს მოქმედებდა. ამ საუკუნეში ყველაზედ ნაკლებ გასძლო რობერტ პილის სამინისტრომ—სულ 113 დღე (1834 წელს), ხოლო ყველაზედ უფრო დღეგრძელი იყო ლორდ ლივერპულის სამინისტრო—სულ 14 წელიწადი და 319 დღე (1812 წლიდგან).

## წვრილი ამბავი

—

საფრანგეთში ელისეს სასახლეში წინად მეფეები სცხოვრობდნენ. ახლა სასახლე პრეზიდენტებს აქვთ დათმობილი საცხოვრებლად და ყოველს ახალს პრეზიდენტს ნება აქვს იგი თავისს გემოზედ მოაწყოს. პრეზიდენტმა ადოლფ ტიერმა მოისურვა იგივე მოწყობილება დარჩენილიყო, როგორიც იყო იმის წინად, მხოლოდ უბრძანა კლიტეები შეეცვალათ, რადგანაც ნაპოლეონის ვენზელით და არწივით იყო გამშვენებულნი; მაგრამ როცა გაიგო, რომ ეს ეღირება 80,000 ფრანკად, სასახლეში 1,200 კარებია, უბრძანა იგივე კლიტეები დაეტოვებინათ. მისმა მოადგილემ, პრეზიდენტმა მაკ-მაჰონმა, მოითხოვა როგორც თვისი, ისი თავისე მეუღლის ოთახები იმავე ავეჯეულობით მოეწყოთ, როგორათაც იმპერატრიცა ევგენიას ჰქონდა მოწყობილი. გრევიმ ინება მის ოთახებში დაედგათ მრგვალი ტაბლები, კაბინეტში დიდი საწერი მაგიდა, ზედ დაეწყოთ დიდრონი კალმის ტარები. დედოფალს ევგენიას საწოლ ოთახში გრევიმ უბრძანა დაედგათ ის ბილიარდი, რომელიც მაკმაჰონს ეკუთვნოდა. კარნოს მეუღლემ მოაწყობინა ლიუდოვიკ მეთოთხმეტის გემოვნებაზედ. კაზიმირ პერიე სულ ცოტა ხანს იყო პრეზიდენტად, ასე რომ მის მეუღლეს არ დასცალდა აესრულებინა გულის წადილი და მოეწყო სასახლე ისე, როგორც უნდოდა. ახლანდელი პრეზიდენტის მეუღლემ-კი ასე უბრძანა ოთახის მომრთველს: „ვერწმუნები თქვენს გემოვნებას, მორთეთ სასახლე სადათ და მოხერხებულათ.

### შესაწევარი.

რედაქციამ კიდევ მიიღო არტისტის ალექსი-მესხიშვილის გადასაცემად ხუთი მანეთი ელისაბედ გიორგის ასულის აბრამიშვილისაგან.

### წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მახლობელს ნომერში უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც ყოველ წლიურად შემწეობა აღუთქვეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს და წევრებად ჩაწერა ისურვეს. აი შემომწირველ წევრთა სია: ბლაღ. მღ. ნესტორ ურუშაძემ 5 მ., ივანე ებრალიძემ 6 მან., პრაპორშჩიკმა კონდრატი ჟორდანიამ, აზ. ნიკო ჟორდანიამ, აზ. კოწია გიორგის ძე ჟორდანიამ, ურიამ შუშანიამ, სერაფიონ და კირილე წილოსნებმა სამ-სამი მანეთი. მღ. გაბრიელ გოგიბაიშვილმა, ალფესი ნარამიძემ, პროვიზორმა იოსებ ჟღენტმა, ნესტორ ჟორდანიამ, პავლე ურუშაძემ, დიაკ. ლანჩხუთის დეპუტატებმა: სამსონ ხუნდაძემ და ელისო გოგუაძემ, ბაზრის ზედამხედველმა კირილე მგელაძემ, ტიმოთე კუჭულაძემ და ატივიო წილოსანმა ორ-ორი მანეთი. მღ. მოსე ჟორჟოლაძემ დიაკ. ივანე გოგიბაიშვილმა, პროვიზ. იაკინთე ცინცაძემ, ივანე სვანიშვილმა, კონსტანტინე იმნაძემ, სევასტი კალანდაძემ და გიორგი კარდანოვმა თითო მანეთი.

სამკითხველოს გამგე კირილე წილოსანი.

1895 წელს, 20 ივნისს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 ივნისი.

**ვარშავა**, 21 ივნისი. დილას ჩამოვიდა ბულგარიის დეპუტაცია, რომელიც პეტერბურგს მიემგზავრება. დეპუტაციას წინ უძღვის მიტროპოლიტი კლიმენტი.

**ვენა**, 20 ივნისი. გაზეთი „ნ. ვ. ტაგებლატ“ ამბობს, რომ სტამბოლში აღმოჩენილ შეთქმულობის შესახებ გამოძიება ფრიად საიდუმლოდ სწარმოებს. მაგრამ გაზეთს გაუგია ზოგიერთი გარემოება. სხვათა შორის უნახავთ ოსმალურ ენაზე ლონდონში დაბეჭდილი გაზეთები, რომლებშიაც მოყვანილია პროგრამა „ახალგაზდა ოსმალეთისა“ და ძალიან გაკიცხულია ოსმალეთის ახლანდელი წეს-წყობილება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ პარტიას მიჰკედლებია მრავალი ახალგაზდა ოფიცერი.

**სოფია**, 20 ივნისი. „ეკანს ბალკანიქ“ ამბობს, რომ მაკედონიის აჯანყების შესახებ არავითარი ამბავი არ მოდისო.

**ლონდონი**, 20 ივნისი. ხაზინის პირველმა ლორდმა მთავრობის პარტიის წინამძღოლმა ბალფურმა განაცხადა პარლამენტის სხდომაზე, რომ წინდაწინ საჭირო კრედიტი შაბათამდის დამტკიცებულ იქნება. მაშასადამე შაბათს პარლამენტი დაასრულებს თვის სხდომებს და ორშაბათს დათხოვნილ იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდვისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 210 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101½ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99⅝ |


## განცხადებანი

პროვანსიული ზეთი

კელლერისა.

ყველგან ცნობილი.

ნიცცაში საგანგებოდ მომზადებული, ყველგან არის გასასყიდად გამოჩენილ ვაჭრებთან.

ზეთი მხოლოდ მაისში იხდება, როდესაც სულ მთლად ქორფა და არჩეული ზეთის ხილი იკრიბება.

(2— —1).

მეფე დავით აღმაშენებელი

და იმისი დრო

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ფასი ორი აბაზი

ტფილისის სათავად-[illegible] კისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 24 და 26 ივლისს ამა 1895 წლისას, დღისით 12 საათზე, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემ იხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისთვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად, და აგრეთვე ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 24—26 ივლისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 9 აგვისტოს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე 16 § ის თანახმად, გრძელვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივეხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 24 ივლისს, სოფლის მამულებისა 26 ივლისს.

ძველი კატეგორიისა.

ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 1929 მ, 21 კ., შემოსატანი გარდასახადი 196 მ. 24 კ. და სულ 2125 მ. 45 კაპ.,

ძველი კატეგორიისა

ბ) სოფლის მამულები

ამირაღოვი აბელ ივანეს ძე. სახნავ-სათესი და სასახლკარე ადგილი, შენობით და ბაღით, მიწა ზომით 151 დესეტინა, 300 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 7639 მ. 60 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 8004 მ. 38 კ.

კერესელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2567 მ. 02 კ., შემოსატანი გარდასახადი 53 მ. 16 კ. და სულ 2620 მ. 18 კ. და შეღავათით შემოსატანი 115 მ. 9 კ. თანასწორად განაწილებული სამ ნახევარ წლად.